საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1742
15/03/2023

1742-21-2-202303150914

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“
მის: 300 არაგველის №23
ელ.ფოსტა: info.sgp@socar.ge;
a.koblianidze@socar.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №913 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში ბელიაშვილის ქუჩა №66-ში ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტს.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს დაგეგმილი სამუშაოების აღწერას, აგრეთვე ინფორმაციას მოსაწყობი და არსებული ინფრასტრუქტურის შესახებ (გენგეგმაზე დატანით);
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად ნავთობპროდუქტების საცავების სასუნთქი სარქველების დიამეტრი შეადგენ 0.62 მეტრს, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საპროექტო გამწმენდი ნაგებობის სქემა (ჭრილი და გეგმა), მუშაობის სქემა, ზოგადი ინფორმაცია და დანადგარის ნახაზები მოცემულია თანდართულ პასპორტში, თუმცა განცხადებას თან არ ერთვის აღნიშნული დოკუმენტაცია, ამასთან დაზუსტებას საჭიროებს გამწმენდ ნაგებობაში გაწმენდილი წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ;

- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ მსგავსი პროფილის ობიექტების არსებობა/არარსებობის შესახებ, აგრეთვე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო